

შპს დეკორ გრუპი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც
დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	3
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	4
1. ზოგადი ინფორმაცია.....	4
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	4
2.1 მომზადების საფუძველები	4
2.2 მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება.....	5
2.3 შეფასებისა და წარდგენის ვალუტა	5
2.4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები	6
2.5 ტერმინების განმარტებები.....	6
2.6 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
3. ძირითადი საშუალებები	13
4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები.....	14
5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14
6. მარაგები.....	14
7. სესხები.....	14
8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15
9. ამონაგები	15
10. სხვა შემოსულობები/(ზარალი).....	15
11. ფინანსური ხარჯი.....	15
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	16
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრისთვის

(ლარი)	შენიშვნა	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	247,769	137,941	23,720
სულ გრძელვადიანი აქტივები		247,769	137,941	23,720
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	66,025	95,480	140,968
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	813,053	325,633	133,295
საგადასახადო აქტივები		187,765	111,367	865
მარაგები	6	2,843,527	1,551,992	934,522
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,910,370	2,084,473	1,209,650
მთლიანი აქტივები		4,158,139	2,222,414	1,233,370
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,912,192	159,380	(66,686)
სულ მთლიანი კაპიტალი		1,912,192	159,380	(66,686)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	7	0	463,921	880,737
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	463,921	880,737
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	7	794,517	396,427	62,660
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,451,429	1,202,686	356,658
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,245,946	1,599,113	419,318
მთლიანი ვალდებულებები		2,245,946	2,063,034	1,300,055
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,158,139	2,222,414	1,233,370

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:

თ. გოჭია


შპს დეკორ გრუპი

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის

შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

(ლარში)	შენიშვნა	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	9	7,445,681	4,095,671	981,342
თვითღირებულება		(3,934,687)	(1,986,541)	(387,423)
საერთო მოგება		3,510,993	2,109,130	593,919
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(2,365,439)	(1,272,313)	(402,339)
მიწოდების დანახარჯები		(699,735)	(426,320)	(185,495)
სხვა ხარჯები		-	-	-
საოპერაციო მოგება		445,819	410,498	6,085
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	10	1,554,796	(74,395)	(8,552)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(95,042)	(110,037)	(64,218)
ფინანსური შემოსავალი	11	3,058	-	-
ფინანსური ხარჯი	11	(98,100)	(110,037)	(64,218)
მოგება დაბეგვრამდე		1,905,574	226,066	(66,686)
მოგების გადასახადი		(19,925)	-	-
პერიოდის მოგება		1,885,648	226,066	(66,686)
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) წლის დასაწყისში		159,380	(66,686)	-
დივიდენდები		(132,836)	-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) წლის ბოლოს		1,912,192	159,380	(66,686)

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:

მ. ზეგინი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დეკორ გრუპი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 15 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405324288. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ლევან მიქელაძის ქუჩა N3, ბინა N31.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა ავეჯით, ხალიჩებითა და სანათი მოწყობილობებით, საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილები ნაწილდება შემდეგნაირად:

დამფუძნებლის სახელი	საიდენტიფიკაციო ნომერი	ქვეყანა	წილი
შალვა ჯალაბაძე	01011073765	საქართველო	12.50%
არტურ ზაქარიანი	BA1144616	სომხეთი	25.00%
არტაშეს ავეტისიან	BA3147404 / AR0400080	სომხეთი	25.00%
შპს ONEKEN PTE	201931651H	სინგაპური	25.00%
ვანო ჩალაძე	01005024538	საქართველო	12.50%

კომპანიის დირექტორია შალვა ჯალაბაძე. 2021 წელს კომპანიის მიერ დასაქმებულების საშუალო რაოდენობა იყო 35 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

2.2 მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- კომპანიაში მოხდა საბუღალტრო საქმიანობის შესწორება და კომპანიის ბუღალტერია 2021 წლის 01 იანვრიდან აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

2.3 შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

2.4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

2.5 ტერმინების განმარტებები

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ **ძირითად** ფინანსურ ინსტრუმენტებს:

- ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს; და
- ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის

შპს დეკორ გრუპი

შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება **საშუალო შეწონილი მეთოდით**.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბ) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

გ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა ნაგებობები	10-15 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ავტო და ოფისის აღჭურვილობა	3-5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3-5 წელი
ელექტრო მოწყობილობები	3-5 წელი

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებული ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

2.6 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

3. ძირითადი საშუალებები

(ლარი)	აკეჯი & ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპ. საშუალებები	სხვა არამატერ. აქტივები	სულ
1 იანვარი 2019	-	-	-	-	-
შემოსვლა	24,701	-	-	983	25,684
გასვლა	-	-	-	-	-
ცვეთა და გაუფასურება	1,887	-	-	76	1,964
1 იანვარი 2020	22,813	-	-	907	23,720
შემოსვლა	34,165	58,400	39,053	-	131,617
გასვლა	2,670	-	-	-	2,670
ცვეთა და გაუფასურება	7,229	4,046	3,254	197	14,726
1 იანვარი 2021	47,079	54,353	35,798	710	137,941
შემოსვლა	77,898	52,934	20,512	3,834	155,178
გასვლა	372	-	-	-	372
ცვეთა და გაუფასურება	20,047	13,891	10,545	494	44,978
31 დეკემბერი 2021	104,558	93,397	45,764	4,050	247,769

4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

(ლარში)	2021	2020	2019
ფული სალაროში	5,618	53,433	39,028
ფული საბანკო ანგარიშებზე	60,408	42,047	101,940
სულ	66,025	95,480	140,968

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

(ლარში)	2021	2020	2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	166,547	115,776	46,254
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	19,500	316	34
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები და სესხები	627,006	209,541	87,006
სულ	813,053	325,633	133,295

6. მარაგები

(ლარში)	2021	2020	2019
საქონელი	2,824,888	1,551,230	897,095
ნედლეული და მასალები	16,817	59	37,388
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	1,822	703	38
სულ	2,843,527	1,551,992	934,522

7. სესხები

(ლარში)	2021	2020	2019
დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები	100,000	463,921	880,737
ბანკის სესხები	656,838	390,000	-
გადასახდელი პროცენტები	37,679	6,427	62,660
სულ	794,517	860,348	943,397

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(ლარში)	2021	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	166,725	284,055	91,423
მიღებული ავანსები	1,180,417	913,759	262,688
საპენსიო და საგადასახადო ვალდებულება	14,117	4,871	2,547
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	90,171	0	-
სულ	1,451,429	1,202,686	356,658

9. ამონაგები

(ლარში)	2021	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	7,765,487	4,298,547	1,016,599
გაყიდული საქონელი	(3,934,687)	(1,986,541)	(387,423)
დაბრუნება და ფასდათმობა	(319,807)	(202,876)	(35,257)
სულ	3,510,993	2,109,130	593,919

10. სხვა შემოსულობები/(ზარალი)

(ლარში)	2021	2020	2019
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,652,293	7,856	21,362
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(71,654)	(221,656)	(62,830)
კონვერტაციის შემოსავალი	13,438	170,747	34,882
კონვერტაციის ხარჯი	(39,282)	(31,342)	(1,967)
სულ	1,554,796	(74,395)	(8,552)

11. ფინანსური ხარჯი

(ლარში)	2021	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	3,058	-	-
საპროცენტო ხარჯები	(98,100)	(110,037)	(64,218)
სულ ფინანსური დანახარჯები	(95,042)	(110,037)	(64,218)

შპს დეკორ გრუპი

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია;

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2022 წლის 25 სექტემბერს;

დირექტორი:

